ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N29

დ. ასპინძა 2 მარტი 2023 წ.

ერთის მხრივ თვითმართველი ერთეული-ასპინძის მუნიციპალიტეტი წარმოდგენელი მისი მერის, როსტომ მაგრაქველიძის სახით (შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა მეფე თამარის ქ #3. მეორეს მხრივ ი/მ ,,ეკატერინე სალარიძე " წარმოდგენილი ეკატერინე სალარიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) დაბა ასპინძა, ვარძიისა და ფალიაშვილის ქუჩების გადაკვეთა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტო ბრძანება №13-ის მეორე მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად დებენ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. 70 ცალი მუყაოს სასაჩუქრე ჩანთის (ზომით: სიგრძე არანაკლებ 17 სმ, სიგანე არა ნაკლებ 8სმ, სიმაღლე არა ნაკლებ 20 სმ) შესყიდვა. (ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის 2023 წლის 01 მარტის N04-წერილის შესაბამისად).

1.2. CPV18934000 --ჩანთები წერილებისათვის და ამანათებისათვის.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთი ერთეული მუყაოს სასაჩუქრე ჩანთის ფასია -2 (ორი) ლარი, სულ ღირებულება შეადგენს 140 (ას ორმოცი) ლარს.

3. საქონლის შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ყვავილები მიაწოდოს (დ. ასპინძაში მეფე თამარის ქ #3) მიმდინარე წლის 7 მარტამდე.

3.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2023 წლის 7 აპრილამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე პასუხისმგებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიწოდებული საქონლის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. თუ მიმწოდებელი მე-3.1. მუხლის მოთხოვნებს არღვევს თავისი მიზეზით, ვალდებულია შემსყიდველს აცნობოს დაუყოვნებლივ და გონივრულ ვადაში.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% - ს;
დ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
8.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.
9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

შემსყიდველი: ასპინძის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი რ. მაგრაქველიძე
დ. ასპინძა მეფე თამარის ქ.№3
საბანკო რეკვიზიტები:
საინდიფიკაციო კოდი 223105155 ხელმოწერა .....
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი TRESGE22, 220101107
ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900

მიმწოდებელი: ი/მ ,,ეკატერინე სარალიძე"
დაბა ასპინძა, ვარძიისა და ფალიაშვილის ქუჩების გადაკვეთა
საბანკო რეკვიზიტები:
საინდიფიკაციო კოდი 11001013904 ხელმოწერა .....
ბანკი- ს/ს ,,თი ბი სი ბანკი"
კოდი TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში
GE95TB7363445064300045
ტელ ნომერი: 595 07 06 51
ელ. ფოსტა: ekasaralidze5@gmail.com

Ekaterine Saralidze 11001013904
Digitally signed by Ekaterine Saralidze
Date: 2023.03.02 15:49:10